სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 43

ქალაქი ბათუმი 19 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ აიპ **რ. ლაღიძის სახ. სამუსიკო სკოლის** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი **დირექტორი ნატალია ორაგველიძის** სახით და მეორეს მხრივ შპს „გამა+ „ -ის (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ალბერტი კიკვაძის სახით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ღონისძიებებთან დაკავშირებული კანონის მე-10 [1] ნაწილის საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკაციის კოდები

2.1 „შემსყიდველი" უკვეთავს ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას 2.2 პუნქტით გაწერილი ხელშეკრულების ობიექტების შესყიდვას.

2.2. ხელშეკრულების ობიექტია :

ა) აიპ რ. ლაღიძის სახ. სამუსიკო სკოლის ორმოცი წლის საიუბილეო კულტურული ღონისძიების აღნიშვნა, <u>დახურული რესტორნის მიმტანების მომსახურებებით</u> (CPV – 799000000); (CPV – 55311000) .

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების ღირებულებაა 3 640 (სამიათას ექვსასორმოც) ლარის .**

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება: ლარი.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მონაწილეობისთვის საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1. მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან მომდევნო თხუთმეტი დღის განმავლობაში;

4.2. მონაწილეობის ადგილია **ქალაქი ბათუმი;**

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარებას აქტის გაფომებით. .

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლოდ დირექტორი, ნატალია ორაგველიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან მომდევნო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ ექნება აუთვისებელ თანხაზე.

ნ. ორაგველიძე

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7. საქონლის მოწოდება

7.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა.

8. გარანტია

7.1. მიწოდებული ღონისძიების პირობების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ დებულებას.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებეს შუქრი ბასილაძე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

----------------------- -----------------------

შემსყიდველი მიმწოდებელი

15. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აიპ რევაზ ლაღიძის სახ.	შპს გამა+
სამუსიკო სკოლა	
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი	მის: საქართველო, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.,
№26 მის: გორგასალის ქ N4	
ს/კ 445 404 848	ს/კ 202211123
	„სს ტერაბანკი“
	ა/ა GE36KS0000000360204334
დირექტორი	წარმომადგენელი
ნატალია ორაგველიძე	ალბერტი კიკვაძი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.ბათუმი 19.12.2016 წელი

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა აიპ რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მიერ შპს „გამა+ „ -ის (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ალბერტი კიკვაძის სახით შესყიდვის მიზნით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვა, არ ეწინააღმდეგება „სახემწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას.

დირექტორი: წარმომადგენელი:

ნატალია ორაგველიძე ალბერტი კიკვაძის

შემსყიდველი

მიმწოდებელი